



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ნელიკო მათეშვილი- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ირინა გოგონაია-(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)



მზია შევარდნაძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ნინო მოლაშხია- (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ნანა მარღანია- (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
მაია ჩაჩხიანი- (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
ავთანდილ ცნობილაძე- (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
ვერა სომხიშვილი- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)
სალომე არაბიძე- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
ქეთევანი ბორაშვილი- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239403873

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭორვილა
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭორვილა
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	<u>სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები</u>
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chorvila@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	-

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	29/04/2025 წ. N MES 4 25 0000453677 (ცვლილება: 06/05/2025 წ. N MES 4 25 0000492232)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29, 30 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭორვლია (1 შენობა-ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭორვლია (1 შენობა-ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭორვლია (1 შენობა-ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

საჯარო სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის თვითშეფასების კითხვარს და დოკუმენტაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. სკოლაში ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29/04/2025 წ. N MES 4 25 0000453677 (ცვლილება: 06/05/2025 წ. N MES 4 25 0000492232) ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 29 და 30 მაისს. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა მასწავლებლებს, დირექციას, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები და საჭიროებისამებრ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუების პროცესი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350 -----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

სასასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

სკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (2026 წლის 30 მაისამდე) უზრუნველყოს პირველიდან მეორე სართულზე გადასადგილებელი ლიფტის ან შესაბამისი მოწყობილობის დამონტაჟება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა



ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	1)სასურველია სკოლამ მუდმივად იზრუნოს სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებაზე (აკონტროლოს ბაღახის ზომა), რათა თავიდან იცილოს ისეთი საფრთხე, როგორიცაა ქვეწარმავალი. 2) სასურველია სარემონტო/სამშენებლო ტერიტორია შესაბამისი უსაფრთხოების ნიშნებითა და სათანადო წარწერების მქონე დამცავი ღობით იქნას შემოსაზღვრული. 3)სასურველია გამკაცრდეს სკოლაში შემოსასვლელი ყველა კარის კონტროლი, რათა არ მოხდეს მოსწავლის სკოლიდან გასვლა, უნებართვოდ/კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მისი საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ პერსონალურ მონაცემთა ოფიცრის დანიშვნის ფაქტი აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.
ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სასურველია დამრიგებლებმა უზრუნველყონ მოსწავლეთა პირადი საქმეების სრულყოფილად შევსება/გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა



ინდიკატორი N4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	სასურველია სკოლამ გადახედოს სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები მაგ: ხელშეკრულების მოქმედების ვადა (სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილის მოქმედების ვადა არის მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვიდან სწავლის დასრულებამდე ხოლო ნაწილის სასწავლო წლის დასრულებამდე)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)	რჩევა
ინდიკატორი N2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	სასურველია კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის ნაწილი, სადაც დაკონკრეტებული იქნება როგორ იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის ელემენტები.
ინდიკატორი N 2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	1)სასურველია: დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში მიეთითოს სკოლის სასწავლო პრაქტიკაში შესაძლებელი და აპრობირებული <u>რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების</u> რესურსები (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის დასახელება). მაგალითად, II კლასში, თემის „ჰაერი როგორც გარემო“ ფარგლებში, საკითხის „ჩვენ გარშემო ჰაერია“ ფარგლებში დაემატოს .ცდები, მაგალითად, ცდა „მე ვგრძნობ ჰაერს“ და მიეთითოს შესაბამისი რესურსი - მარაო; ცდა „რისი სუნი აქვს ჰაერს?“, რესურსით - ლიმონი, ფორთოხალი, სუნამო; და სხვ.



		2)სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ბუნების მე-2 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში მოცემულია ჩანაწერი ძირითად რესურსზე შემდეგი სახით: „სახელმძღვანელო: სულაკაურის გამომცემლობა ავტორები: მაია ბლიაძე; რუსუდან ახვლედიანი; შორენა ტყემალაძე; თეონა შუბლაძე“ (კურიკულუმის სტილი დაცულია); სასურველია, სახელმძღვანელოს დასახელებისას აკადემიური სტილი იყოს დაცული. 3)უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს თემები და სამიზნე ცნებები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; არ ჰქონდეს ადგილი რედუცირებას. მაგალითისათვის, სტანდარტში ხაზგასმულია „ჰაერი როგორც გარემო“, შესაბამისად, მე-2 კლასის კურიკულუმში არ უნდა მოხდეს თემის რედუცირებული სახით დაფიქსირება - „ჰაერი“, „წყალი“; სტანდარტის მიხედვით, (I-IV კლასებისთვის) სამიზნე ცნებებია: (1) სხეული, (2) მოვლენა, (3) სივრცეში ორიენტირება, (4) ორგანიზმი, საარსებო გარემო (და არა „ორგანიზმი“ - კურიკულუმის მიხედვით), (5) გარემოს დაცვა. სასურველია, აღნიშნულის გათვალისწინება
ინდიკატორი N2.1.2.3	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის	1)სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული



	სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით	რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ბუნების მე-2 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში მოცემულია ჩანაწერი ძირითად რესურსზე შემდეგი სახით: „ სახელმძღვანელო : სულაკაურის გამომცემლობა ავტორები: მაია ბლიაძე; რუსუდან ახვლედიანი; შორენა ტყემალაძე; თეონა შუბლაძე“ ბუნების მე-3 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში ჩანაწერია: „საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი : სახელმძღვანელო-მაია ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი(გამომცემლობა ბაკურ სულაკაური)“ (კურიკულუმის სტილი დაცულია), სასურველია, სახელმძღვანელოს დასახელებისას აკადემიური სტილი იყოს დაცული.
ინდიკატორი N2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა - სასურველია სასწავლო პროცესში არ შემოიფარგლოთ მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოებით, შეარჩიეთ და კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების ველში შეიტანეთ ისეთი ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რომლებიც გამოდგება სამიზნე ცნებაზე სამუშაოდ და ახლოს დგას მოსწავლის ცოდნა-გამოცდილებასთან(შესაბამისი ბმულებით)
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	სასურველია, ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმით (კლასების მიხედვით) წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოლის გაკვეთილები, ანიმაციები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, <u>დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები</u> , თუნდაც ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებული მასალები. მაგალითად, ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმში, სავალდებულო თემის „ნარეკები და მათი დაყოფის გზები“ შესაძლებელია სასწავლო რეალური ექსპერიმენტის „ნარეკების დაყოფის ხერხები“ დაგეგმვა, შესაბამისად, სასწავლო რესურსის



		სახით ექსპერიმენტისთვის მოსწავლეებისთვის ყოფა-ცხოვრებიდან კარგად ნაცნობი ნივთიერებებისა და მასალების დაფიქსირება - სუფრის მარილი, შაქარი, ზეთი, ცარცი, მინა, წყალი და სხვ., იგივე ეხება ჭურჭელსა და მოწყობილობებს (ჩაიდან, ჭიქა, ქილა, კოვზი, გამათბობელი); კურიკულუმში აღნიშნული რესურსების დაფიქსირება ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სანდო	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ობიექტური	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე	ფიზიკური აღზრდა/სპორტი - სასურველია თქვენს მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეს ჰქონდეს მუდმივი წვდომა შეფასების კრიტერიუმებთან. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს უფრო მეტად გამჭვირვალე.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	რჩევა
--------------	--------------------------------	-------



ინდიკატორი N2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	1)სასურველია კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის ნაწილი, სადაც დაკონკრეტებული იქნება როგორ იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის ელემენტები.
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმში წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	1)სასურველია ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, <u>სატიტულო ნაწილში</u> დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, <u>დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა</u> (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ქიმიის მე-8 კლასის ჩარჩო-კურიკულუმში ძირითად რესურსთან დაკავშირებით ფიქსირდება შემდეგი სახის ჩანაწერი: „საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები: ძირითადი- თინათინ ბუთხუზი;სოფიკო ფაცაცია; მარინე კუჭუხიძე; თამარ ხატისაშვილი. გამომცემლობა: „საქართველოს მაცნე“ (კურიკულუმის სტილი დაცულია), ამასთან სასურველია, რომ გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოს დასახელება მოცემული იყოს აკადემიური სტილით.
ინდიკატორი N2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმის შემუშავებისას გათხოვთ იხელმძღვანელოთ სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემებით . კურიკულუმში გაწეროთ არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა.(ადამიანი და მისი ცხოვრება, სამყაროს შეცნობა,მარადიული ძიებები)
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის	1) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური



	არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	ხელსაწყოების შეძენა-შეესებას რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; 2)სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); 3)სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, <u>შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები;</u> 4)სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების/ ლაბორატორიული სამუშაოების სისტემურ და სისტემატურ ჩატარებას (ამისთვის სკოლაში გარკვეული საწყისი ინფრასტრუქტურული პირობებია: კაბინეტში შეყვანილია წყალი (ნიჟარა, ლექტროგაყვანილობა), ქიმიის კაბინეტში ფუნქციონირებს გამწოვი კარადა, არსებობს წყლის გამოსადეგი აპარატი
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათ უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.



ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სანდო	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათ უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ობიექტური	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათ უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	ფიზიკური აღზრდა/სპორტი - სასურველია მოსწავლეს შესთავაზოთ კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანი დავალება თეორიულ გაკვეთილებზე, ისე, რომ იყოს მორგებული მის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატი ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი ან პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი)
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე	ფიზიკური აღზრდა/სპორტი - სასურველია თქვენს მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით განათავსოთ თვალსაჩინო ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო)	რჩევა
ინდიკატორი N2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	სასურველია კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის ნაწილი, სადაც დაკონკრეტებული იქნება როგორ იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის ელემენტები.



ინდიკატორი N2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	სახელმწიფო ენა - კურიკულუმის ჩარჩოში, შუალედური მიზნის აღწერისას, სასურველია, უფრო ნათლად და სრულად გადმოსცეთ შემოქმედებითი პროდუქტის/კომპლექსური დავალების პირობა, ანუ, რას მოითხოვს დავალება მოსწავლისაგან.
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	1) სასურველია: საგნების - ქიმია, ფიზიკა - კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში მიეთითოს სკოლის სასწავლო პრაქტიკაში განხორციელებადი, საკითხის რელევანტური <u>რეალური</u> <u>ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების</u> რესურსები (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის დასახელება). 2) სასურველია: სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში <u>დასახელდეს</u> <u>ძირითადი რესურსი - გრიფინიჭებული სახელმძღვანელო;</u> <u>დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა</u> (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ბიოლოგიის XII კლასის ჩარჩო- კურიკულუმში ძირითად რესურსთან დაკავშირებით ფიქსირდება შემდეგი სახის ჩანაწერი: „საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო - ავტორი- ნანა ზაალიშვილი“; ფიზიკის XII კლასის ჩარჩო-კურიკულუმში - „საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი რესურსი: სახელმძღვანელო - ავტორი- გიორგი გედენიძე, ეთერ ლაზარაშვილი, ილია ლომიძე“ (კურიკულუმების სტილი დაცულია); სასურველია სახელმძღვანელოს დასახელება აკადემიური სტილით იყოს შესრულებული.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური	სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე,



	რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	<u>რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსების სისტემური დაფიქსირება</u> საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში ამ ეტაპზე ყველა საგნის - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსები სტანდარტულად მოიცავს ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს, როგორც წესი, შესაბამისი გვერდების მითითებით; კურიკულუმებში საგნების მიხედვით მითითებულია ელექტრონული რესურსები - ტელესკოლის გაკვეთილები, ვირტუალური ლაბორატორიები, CK-12, სხვა ინტერნეტ-რესურსები, უმეტეს შემთხვევაში ლინკების (წვდომის) ჩვენებით, რაც, რასაკვირველია, დადებით პრაქტიკად უნდა შეფასდეს. ამასთან, სამივე საგნის (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) წარმოდგენილ კურიკულუმებში არ ფიქსირდება რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები, თუმცა, საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტის ვირტუალურმა დათვალიერებამ აჩვენა რეალური ცდებისთვის გარკვეული ინფრასტრუქტურისა და რესურსების არსებობა. აქვე აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ გაკვეთილებზე ატარებენ ცდებს და ექსპერიმენტებს. შესაბამისად, კურიკულუმებში სასკოლო პრაქტიკაში აპრობირებული <u>რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსების ჩაწერა ხელს შეუწყობს რეალური ცდების უფრო სისტემურ და სისტემატურ გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში.</u>
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	1)სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე, <u>რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსების სისტემური დაფიქსირება</u> საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში;



		ამ ეტაპზე ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კურიკულუმში - საშუალო საფეხურის ყველა კლასის მიედვით - მითითებულია ელექტრონული რესურსები - ტელესკოლის გაკვეთილები, ვირტუალური ლაბორატორიები, CK-12, სხვა ინტერნეტ-რესურსები, უმეტეს შემთხვევაში ლინკების (წვდომის) ჩვენებით; თუმცა, არ არის დაფისირებული სასკოლო პრაქტიკაში აპრობირებული რეალური ცდები, რის შესახებაც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს. სასურველია კურიკულუმებში სასკოლო პრაქტიკაში აპრობირებული <u>რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსების ჩაწერა, რაც ხელს შეუწყობს</u> რეალური ცდების სისტემურ და სისტემატურ გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში. 2)სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს ქიმიაში, ბიოლოგიაში ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების შეძენა-შეცვლას რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის, კათედრაზე გაზიარებულ იქნას ფიზიკაში სასწავლო მიზნებით მოწყობილობების (ელექტროსტატიური მანქანის) შეძენის მოთხოვნის გამოცდილება; 3)სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); 4)სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, <u>შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; 5)სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები,
--	--	---



		მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების/ ლაბორატორიული სამუშაოების სისტემატურ და სისტემურ ჩატარებას (ამისთვის სკოლაში გარკვეული ინფრასტრუქტურული პირობებია: კაბინეტში შეყვანილია წყალი (ნიჟარა, ლექტროგაყვანილობა), ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა, არის გამოსახდელი აპარატი.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სანდო	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ობიექტური	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა.
ინდიკატორი N2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	ფიზიკური აღზრდა/სპორტი - სასურველია მოსწავლეს შესთავაზოთ კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანი დავალება თეორიულ გაკვეთილებზე, ისე, რომ იყოს მორგებული მის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატი ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი ან პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი)
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე	ფიზიკური აღზრდა/სპორტი -სასურველია თქვენს მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით განათავსოთ თვალსაჩინო ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახულ არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **სკოლის მისიაა:** აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული, ესთეტიკური, სამოქალაქო და ზოგადსაგანობრიო ღირებულებების მქონე პიროვნება, რომელსაც ჩამოუყალიბდება 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარზე. **სკოლის ხედვაა:** სკოლა შეძლებს აღზარდოს თანამედროვე პიროვნება მაღალი ესთეტიკური და სამოქალაქო უნარებით, რომელთა საშუალებითაც უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნათა გამოწვევებს და შეძლებს ინტეგრაციას საერთაშორისო ასპარეზზე. სკოლის დირექციამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზირების პროცესში განხორციელებული საქმიანობების ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლაში განხორციელებული გამოკითხვის ამსახველი დოკუმენტაცია, SWOT ანალიზი. მისიასა და ხედვაში მკაფიოდაა ასახული სკოლის მიერ შერჩეული და სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული პრიორიტეტული მიმართულებები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლას აქვს მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების დროს ჩართული იყო მთელი სასკოლო საზოგადოება. სკოლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან. სკოლის დირექცია ზრუნავს, რომ სკოლა იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო. დაცულია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს ორი მანდატური. დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები. სკოლა დაცულია უცხო პირთა გადაადგილებისგან. კონტროლდება შემოსასვლელი კარი, ეზო. სკოლას ბრძანებით აქვს დამტკიცებული მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. განრიგი გამოკრულია სკოლის შენობაში. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლის ლაბორატორიების, საკლასო ოთახების, ბიბლიოთეკის, სააქტო დარბაზის გამოყენების უფლება სასწავლო მიზნებისთვის და არაფორმალური განათლებისთვის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლაში ტარდება სოციალური პროექტები, წახალისებულია კლუბური მუშაობა. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტებში, ოლიმპიადებში. მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პროფორიენტაციაზე. სკოლას ჰყავს ბრძნებით გამოყოფილი რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს რეფერალის წესი. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლეთა გადამისამართება მამდატურის სამსახურში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლის დირექტორის ბრძნებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განახორციელა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) რევიზია. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არიან სკოლის პედაგოგები, მშობელი და მოსწავლე. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია: სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები; სასკოლო საზოგადოების აზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, კითხვარები, კითხვარების ანალიზი, SWOT ანალიზი. გამოკითხვა ჩატარებულია პედაგოგებთან, ადმინისტრაციისა და დირექციის წევრებთან. გამოკითხულნი არიან სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები და დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავების პროცესში ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის. დირექციასთან გასაუბრებისას ექსპერტებს მოგვეწოდა ინფორმაცია მშობლებთან ჩატარებული შეხვედრების შესახებ. შეხვედრებზე დადასტურდა სასკოლო საზოგადოების მიერ აღნიშნული დოკუმენტების განხილვა, ამდენად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულიად მისაღები და გაზიარებულია თითოეული წევრისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; ის განთავსებულია სასკოლო სივრცეში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლის სახელწოდებაა: სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლა. შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის 448-ე ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიული პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფოლოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შესახებ ((2024 წლის 29 მარტის N2-16 ბრძანება)
3. სკოლის ფოლოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები
4. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
6. სასკოლო კლუბების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია
7. სასკოლო პროექტების რეფლექსიები
8. სკოლის ფილოსოფიის რევიზიის პროცესში გამოყენებული კითხვარი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულობა. სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით; დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებით. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში

ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და მოლოდინებს. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვა. სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების მოლოდინების და საჭიროებების კვლევა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან და შეიცავს მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს. ის ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. სკოლის სამოქმედო გეგმა
4. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცების ოქმები

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; დოკუმენტში აღწერილია მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები (მეთოდოლოგიის მუხლი N11). მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით. მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. ასევე მონიტორინგის დროს გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშებს. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ბრძანება (09.09.2024 წ. N2-68). ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე

3. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე

4. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფოლოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

2. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (09.09.2024 წ. N2-68)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დირექცია, ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურისა და ფუნქციათა დელეგირების ბრძანება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N2-22 ბრძანებით. ბრძანებაში გათვალისწინებულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები; სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები დარეგულირებულია პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურისა და ფუნქციათა დელეგირების ბრძანება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N2-22 ბრძანებით, სადაც განსაზღვრულია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, გათვალისწინებულია თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები. 2024 წლის 6 მარტის N2-09 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში დირექცია-ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ. დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა. პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (2025 წლის 7 მარტის N2-31 ბრძანება),
2. სკოლის სტრუქტურისა და ფუნქციათა დელეგირების ბრძანება (2025 წლის 28 თებერვლის N2-22 ბრძანება)
3. პერსონალთან /პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
4. სკოლის სტრუქტურა
5. შინაგანაწესი
6. დირექცია-ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ 2024 წლის 6 მარტის N2-09 ბრძანება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პერსონალის მართვის წარმატებული პრაქტიკა ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის შინაგანაწესს, შრომით ხელშეკრულებებს. შრომით ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურისა და ფუნქციონირების დელეგირების ბრძანება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N2-22 ბრძანებით, სადაც განსაზღვრულია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, გათვალისწინებულია თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები. სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (2025 წლის 7 მარტის N2-31 ბრძანება). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 მარტის N2-09 ბრძანებით დამტკიცებული სკოლაში დირექცია-ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის სკოლის შინაგანაწესში არის გაწერილი მუხლები, სადაც მოცემულია ინფორმაცია დასაქმებულის სამუშაო კვირის ხანგრძლივობის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების ან გამოუცხადებლობის შესახებ. სკოლას უზრუნველყოფილი აქვს დასაქმებულის სკოლაში არყოფნის შემთხვევაში სხვაზე ფუნქციების გადანაწილების პოლიტიკა. კერძოდ: დასაქმებული ვალდებულია ორი კვირით ადრე აცნობოს სკოლას გაცდენის შესახებ. რა შემთხვევაშიც სკოლა წინასაწარ ახდენს გაკვეთილების ცხრილში ისეთ ცვლილებას, რომ ეს უარყოფითად არ აისახოს სასწავლო პროცესზე. სკოლაში პერსონალის მხარდაჭერა ხდება საჭირო ინტერვენციების დაგეგმვითა და განხორციელებით. თუ რომელიმე მასწავლებელმა გააცდინა სკოლა გარკვეული მიზეზების გამო დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იწერება ბრძანება საათების გადანაწილებისა

და შესაბამისი ანაზღაურების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ იმ საგნის მასწავლებელი მხოლოდ ერთია სკოლაში სკოლა იწვევს პედაგოგს სხვა სკოლიდან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში პერსონალის მიღება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპის, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. სკოლამ წარმოადგინა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი (2020 წლის 13 თებერვლის N2-09 ბრძანება). სკოლაში ახალი კადრი შერჩეულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მათი მიღება ემყარება სკოლის საჭიროებებს. სკოლა ვაკანსიის გამოცხადებისას ეყრდნობა სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებასა და შრომის კოდექსს. კონკრეტული ვაკანსიისთვის კი შეიმუშავენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; კონკურსების გამოცხადების, ჩატარებისა და გასაჩივრების წესი და ვაკანსიასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის გამჭვირვალე. გარე კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საიტზე <https://teacherjobs.ge/>, ხოლო შიდა კონკურსი შესახებ - სკოლაში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ 2020 წლის შემდეგ მიღებულ თანამშრომლებს ჰქონდათ ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს 14 წამყვანი და 12 უფროსი მასწავლებელი, 2 უფროსი სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 3 დარაჯი, ექთანი, 4 დამლაგებელი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი. სტრუქტურულ ერთეულებში მაქსიმალურად არის პასუხისმგებლობები გადანაწილებული, ყველა სტრუქტურა გადაწყვეტილებებს იღებს გუნდურად და მასში გაერთიანებული თითოეული წევრი მაქსიმალურად მონაწილეობს კონკრეტული აქტივობებისა და პროცედურების განხორციელებაში. მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოებაში წახალისებულია თანამშრომლობითი კულტურა და გუნდურობა. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ხდება სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების (სასკოლო გეგმა, ბიუჯეტი) ერთობლივად შემუშავება. გუნდური მუშაობასა და მაღალ ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს ის, რომ სკოლის

ფილოსოფიის შემუშავებისას ჩართული იყო მთელი სასკოლო საზოგადოება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლამ წარმოადგინა შიანაგანწესი, სადაც მოცემულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი (მუხლი 10). პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის სამუშაოს შესრულებისთვის სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მაღლობის გამოცხადება

ბ) სიგელით დაჯილდოება

გ) ერთჯერადი (ფულადი პრემიის) გაცემა

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომაზე ადრე მოხსნა

სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმატებები, პროექტები, განხორციელებული ღონისძიებები და სხვა იტვირთება სკოლის ფეისბუქ გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თანამშრომელთა პირადი საქმეები

2. კონკურსის მასალები

3. თანამშრომელთა ხელშეკრულებები

4. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (2025 წლის 7 მარტის N2-31 ბრძანება),

5. სკოლის სტრუქტურისა და ფუნქციათა დელეგირების ბრძანება (2025 წლის 28 თებერვლის N2-22 ბრძანება)

6. ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი (2020 წლის 13 თებერვლის N2-09 ბრძანება)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. წევრების მიერ ხდება გაკვეთილებზე დასწრება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, რის შემდეგაც ხდება უკუკავშირის მიწოდება. ხარისხის მართვის ჯგუფი ორიენტირებულია თითოეული მასწავლებლის მხარდაჭერაზე. უკუკავშირიდან გამომდინარე ხდება დირექცია მასწავლებლებს სთავაზობს აქტივობებს. დირექციის მხარდაჭერით მასწავლებლი ირჩევს გასავლელი ტრენინგიდან სასურველ მოდულს, რაც ემსახურება მასწავლებლის პროფესიულ ზრდას. ტრენინგებს ესწრება სკოლის ბუღალტერიც, რომელიც მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას

და ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს, ახალ სტანდარტებს და სხვა სიახლეებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის დირექცია პერსონალს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას ტრენინგების შესახებ, ამარაგებს მეთოდური თუ სხვა სახის ლიტერატურით. სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული ლაბორატორია, მუდმივი ინტერნეტით და მასწავლებლებს აძლევს საშუალებას ნებისმიერ დროს დაესწრნენ ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკა (07.03.2025 წ. N2-31 ბრძანება), რომელშიც გაწერილია თანამშრომლის ინტეგრაციის ეტაპები კონკურსის გამოცხადებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის შინაგანაწესში მოცემულია პერსონალის წახალისების ფორმები: ა) ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლაში მასწავლებლებისათვის ცხადდება მადლობა გაწეული სამუშაოებისთვის, საერთო შეხვედრებზე, პედსაბჭოზე და მოსწავლეთა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების დროს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (07.03.2025 წ. N2-31 ბრძანება)

2. პერსონალის წახალისებასთან დაკავშირებული მასალები

3. ტრენინგის გავლის დამადასტურებელი ცნობები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 24 თებერვლის N2-13 ბრძანებით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მიზანია პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული

სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში: ხარისხის მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. სკოლის მმართველობითი პროცესები: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესები: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესები: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება, კარიერული განვითარება; ყველა პროცესი აღწერილია დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე (PDCA) - ციკლის მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 28 თებერვალს დამტკიცებული N2-23 ბრძანება სკოლის გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც მოცემულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერი წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები. სკოლაში მოქმედებს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში ჩართული იქნება შესაბამის პროცესებში. დისციპლინარულ კომიტეტში საქმისწარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს: მოსწავლის, მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის, შესაბამის სკოლაში დასაქმებული პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (2025 წლის 24 თებერვლის N2-13 ბრძანება)
2. შინაგანაწესი
3. სკოლის გასაჩივრების მექანიზმების შესახებ (2025 წლის 28 თებერვლის N2-23 ბრძანება)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საკითხები. დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის N2-06 ბრძანებით. სკოლაში არის ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი პრაქტიკა. კერძოდ, საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება ვებ გვერდის, სოციალური ქსელის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სკოლა ინფორმაციის მოსაწოდებლად იყენებს სოციალური ქსელების დახურული ჯგუფებს. ჯგუფების მეშვეობით მშობლებს გადაეცემათ ინფორმაცია სკოლაში არსებული რეგულაციების, მშობელთა კრებების, ღია კარის დღეების, ექსკურსიების, სასკოლო ღონისძიებების შესახებ. ჯგუფებში ინფორმაციის გავრცელება იძლევა სწრაფი უკუკავშირის მიღების საშუალებას. უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. გამოყენებულია როგორც სოციალური ქსელი, ისე ელექტრონული ფოსტა და კითხვარები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში მასწავლებლებთან ერთად ჩართულები არიან მშობლები და მოსწავლეები. სკოლას ჰყავს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. როგორც ზეპირსიტყვიერად ასევე კითხვარების საშუალებით გამოთქვავენ თავიანთ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს. მშობლები ჩართულები არიან შვილებთან ერთად სოციალურ პროექტებში. დირექცია ღიაა მოისმინოს კოლეგების, მშობლების, მოსწავლეების აზრი და მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს მათი ინიციატივების განხორციელებას. მშობლებთან კომუნიკაციისთვის, მათი ჩართულობის გაზრდისთვის უფრო აქტიურად გამოიყენება ელექტრონულ ჟურნალი, ფეისბუქ გვერდი. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა ღონისძიებები მშობლების მონაწილეობით: გამოფენა-გაყვიდვა, მხიარული სტარტები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლებთან ურთიერთობის დებულება (2021 წლის 24 თებერვლის N2-06 ბრძანება)
2. სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ. სკოლაში დასაქმებულია ორი მანდატური. სკოლას ჰყავს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული. სკოლის შენობის გარე პერიმეტრი და დერეფნები კონტროლდება სათვალთვალო კამერების საშუალებით. ყველა კამერა მუშა მდგომარეობაშია. დასვენებებზე ყველა სართულზე მორიგეობენ მასწავლებლები. დერეფანში და სამასწავლებლოში გამოკრულია მორიგეობის განრიგი. სკოლას ჰყავს ღამის დარაჯი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლის დერეფნებში გამოკრულია

საევაკუაციო გეგმები. სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ(წერილი 18/03/2025 წლის N MES 4 25 0000290434), უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. ყველა სართულის დერეფნებში დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები და სხვა სახანძრო ინვენტარი. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ცეცხლმაქრების გადატვირთვა ხდება ყოველწლიურად. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. დამრიგებელი ამყარებს კომუნიკაციას მშობელთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელმა არ შეატყობინა დამრიგებელს მოსწავლის გაცდენის შესახებ.

რჩევა: 1)სასურველია სკოლამ მუდმივად იზრუნოს სკოლის გარე პერიმეტრის მოწესრიგებაზე (აკონტროლოს ბაღახის ზომა), რათა თავიდან იცილოს ისეთი საფრთხე, როგორიცაა ქვეწარმავალი.

2) სასურველია სარემონტო/სამშენებლო ტერიტორია შესაბამისი უსაფრთხოების ნიშნებითა და სათანადო წარწერების მქონე დამცავი ღობით იქნას შემოსაზღვრული.

3)სასურველია გამკაცრდეს სკოლაში შემოსასვლელი ყველა კარის კონტროლი, რათა არ მოხდეს მოსწავლის სკოლიდან გასვლა, უნებართვოდ/კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მისი საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და პირველადი დახმარების საშუალებებით. ასევე სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე ნებისმიერ პირს საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციურ დახმარებას აღმოუჩენს. სკოლამ წარმოადგინა ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება და სკოლის ექთნის პირადი საქმე. მოხდა ექიმის კაბინეტის ვიზუალური დათვალიერება. შემოწმდა ინვენტარი, მედიკამენტები. შემოწმდა მედიკამენტების გამოყენების ვადები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ისინი ზრუნავენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგზე, მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. მანდატურები აკონტროლებენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს.

სკოლის პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები. ყველა კამერა მუშა მდგომარეობაშია. მორიგე მასწავლებლები, დამრიგებლები მუდმივად აკვირდებიან დასვენებებზე მოსწავლეთა გადაადგილებას. სკოლის შენობაში შემოსვლა უცხო პირებისთვის იკრძალება. პასუხისმგებელი პირი ატყბინებს დირექტორს/მოადგილეს ვიზიტორის შესახებ, მონაცემები შეაქვს სპეციალურ ჟურნალში. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ტელეფონის ნომრები მაგალითად 112, ცხელი ხაზის ნომერი და სხვა. შინაგანაწესში გაწერილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. ასევე მრჩეველთა საბჭო შეიმუშავებს შესაბამის რეგულაციებს და რეკომენდაციებს. სკოლამ წარმოადგინა ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 28 თებერვლის N2-19 ბრძანება სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ. სკოლას ჰყავს ორი მანდატური. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. დამრიგებლების მიერ რეგულარულად ხდება მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების დადგენა. დამრიგებლების და დირექციის მხრიდან მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა ინტენსიური და თანამშრომლობითია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N2-21 ბრძანებით დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. სკოლაში მოწესრიგებულია სველი წერტილები, საკლასო ოთახები, საპირფარეშოები და სკოლის დერეფნები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სკოლის ექთანი და დამლაგებლები. სკოლის ექთანი თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი აწვდის ინფორმაციას დირექტორს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსის შესახებ. ეს ინფორმაცია აისახება სკოლის ბიუჯეტში და შემდეგ ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით ხდება სკოლის მიერ ამ რესურსების შეძენა. სკოლაში დასაქმებულია ოთხი დამლაგებელი. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი წყალმომარაგებით. საჭიროების შემთხვევაში აქვს ავზიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის N2-09 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების მონიტორინგისა და დაცვის მექანიზმი (18.01.2021 N2-03). სკოლას დანიშნული ჰყავს პერსონალური

მონაცემთა ოფიცერი. **რჩევა:** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ პერსონალურ მონაცემთა ოფიცრის დანიშვნის ფაქტი აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლა მუშაობს ლიცენზირებული პროგრამებით. საქმისმწარმოებელის, ბუღალტრის, დირექტორის კომპიუტერებს აქვთ ინდივიდუალური კომპიუტერები და სისტემაში შესასვლელი ინდივიდუალური პაროლები. მასწავლებლები თავიანთ გვერდებზე შედიან ინდივიდუალური პაროლებით. ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს და საქმისმწარმოებელს. ბაზებში არსებული მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, მაგალითად: მოსწავლის მობილობის დროს ან მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის შემოწმების დროს. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ოთახში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
2. სკოლის ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება
3. ექთნის პირადი საქმე
4. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში
5. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი
6. უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
7. სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (წერილი 18/03/2025 წლის N MES 4 25 0000290434)
8. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (2025 წლის 24 თებერვლის N2-09 ბრძანება)
10. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი (2025 წლის 28 თებერვლის N2-21 ბრძანება)

11.სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ (2025 წლის 28 თებერვლის N2-19 ბრძანება)

12.პედაგოგების მორიგეობის განრიგი/დარაჯის მორიგეობის განრიგი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა არის ორსართულიანი, გათვლილია 350 მოსწავლეზე. სკოლას აქვს საჭირო ინფრასტრუქტურა: 15 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, სამასწავლებლო, სპორტ დარბაზი, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, დირექციისა და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, არქივის ოთახი, საწყობი, დარაჯის ოთახი, ოთახი გამოყოფილია მანდატურებისთვის, სკოლას აქვს გარე მოედანი და კეთილმოწყობილი ეზო. ორივე სართულზე განლაგებულია საპირფარეშოები გოგონებისთვის, ბიჭებისთვის, თანამშრომლებისთვის. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. ოთახები, დერეფნები არის კეთილმოწყობილი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერების ოთახი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სასწავლო მიზნებით გამოყენებისთვის. ყველა მოსწავლე გაკვეთილზე სარგებლობს ინდივიდუალურად კომპიუტერით. მოსწავლეს შეუძლია ნებისმიერ დროს ისარგებლოს კაბინეტით. ისტ-ის გაკვეთილების განრიგი გაკრულია კარებზე; 30 შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც სასწავლო, საგანმანათლებლო, ისე მხატვრული ლიტერატურით. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკის ფონდით. სკოლის ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, კატალოგი, სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. სამასწავლებლო, სადაც მასწავლებლებს აქვთ ლეპტოპით სარგებლობის საშუალება; შიდა სპორტდარბაზი და გარე სპორტული მოედანი გაკვეთილების შემდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სპორტული ღონისძიებებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. იგი აღჭურვილია კომპიუტერით, მხატვრული და სასწავლო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებით (გაზეთები, ბროშურები). ბიბლიოთეკა ღიაა სწავლის პერიოდში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია სარგებლობა. სკოლამ წარმოადგინა კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელი ეგრეთწოდებული პანდუსი. სასკოლო საპირფარეშო არის კეთილმოწყობილი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, თუმცა სპეციალური საჭიროების მქონე პირის სკოლის მეორე სართულზე გადაადგილებისთვის სჭირდება ადაპტირებული გარემო. სკოლას არ აქვს ლიფტი. სპეციალური შესაძლებლობების მქონე

მოსწავლისათვის მეორე სართულზე, სადაც განლაგებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა გადაადგილება არ არის ხელმისაწვდომი. სკოლის ინფრასტრუქტურა **სრულად ვერ ქმნის** სწავლის ინკლუზიურ გარემოს, რადგან სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისათვის სკოლის შენობის პირველი სართულიდან მეორე სართულზე გადაადგილება არ არის ხელმისაწვდომი.

სკოლა შესაბამისობის გეგმით აცხადებს, რომ 2026 წლის 30 მაისამდე უზრუნველყოფს პირველი სართულიდან მეორე სართულზე გადასადგილებელი ლიფტის ან შესაბამისი მოწყობილობის დამონტაჟებას. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახულ არგუმენტირებულ პოზიციას.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი; სააქტო დარბაზი; ბიბლიოთეკა; კომპიუტერული ლაბორატორია. მოსწავლეები სკოლის ბაზაზე ანახორციელებენ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობებს ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. ეწყობა ინტელექტუალური თამაშები, ტრენინგები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
3. ლაბორატორიებით სარგებლობის წესი
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
5. სკოლის ნახაზი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; კომპიუტერებით უზრუნველყოფილია დირექცია, ადმინისტრაცია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა. ადმინისტრაციულ განყოფილებაში და ბიბლიოთეკაში განთავსებულია ქსეროქსის აპარატები. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს 36 კომპიუტერი. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში საკომუნიკაციო არხების და სისტემების შესაქმნელად, მშობელთა, საზოგადოების და ყველა დაინტერესებული მხარის სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ასევე, ტექნოლოგიები გამოიყენება მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისთვის, საკლუბო მუშაობისთვის, შეხვედრებისა და ტრენინგებისათვის, ელექტრონულ ჟურნალებში სამუშაოდ, სასწავლო აქტივობების განსახორციელებლად, სასწავლო რესურსების გამოყენება-შექმნისთვის, ადმინისტრაციული სისტემების გასაუმჯობესებლად. კომპიუტერებში ხდება მასწავლებლების მიერ მოთხოვნილი ლიცენზირებული პროგრამების ჩაწერა სამინისტროს მიერ მომარგებული აიტი მენეჯერის ვიზიტისას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. მასწავლებლებს და მოსწავლეებს საგაკვეთილო ცხრილის გათვალისწინებით შეუძლიათ შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. მოსწავლეები სარგებლობენ ტექნიკით პრეზენტაციების მოსამზადებლად, ტექსტების ასაკრეფად, ინფორმაციის მოსამიებლად, ჯგუფური სამუშაოების და პროექტებზე მუშაობის დროს. მასწავლებლები ხშირად ატარებენ გაკვეთილებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. კომპიუტერული ლაბორატორიის მუშაობის განრიგი გამოკრულია ლაბორატორიასთან. მასწავლებლები კომპიუტერებს იყენებენ: სასწავლო მასალების ამოსაბეჭდად, სასწავლო რესურსების და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტრუმენტების შესაქმნელად, ჟურნალში მონაცემების შესაყვანად, მშობელთა სოციალურ ჯგუფებში ინფორმაციის გასავრცელებლად. საგნობრივი ჯგუფების წევრებს აქვთ შექმნილი ჯგუფები ონლაინ სივრცეში, სადაც ხშირად ხვდებიან ერთმანეთს სიახლეებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. სკოლას აქვს მესენჯერში შექმნილი დახურული ჯგუფი, სადაც მასწავლებლები, დირექცია და ადმინისტრაცია აცნობს ერთმანეთს არსებულ საჭიროებებს და ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიული განვითარების კურსების და ტრენინგების, მოსწავლეთა ოლიმპიადების, კონფერენციების, კონკურსების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
2. სკოლის ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 31 მაისის N2-22 ბრძანებით. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად და სასკოლო რეგულაციების მიხედვით. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) - საშუალებით და მას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას. ბრძანებები ტარდება სპეციალურ ჟურნალებში. სკოლამ წარმოადგინა საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები. ჟურნალები არის დანომრილი, დამოწმებული და ინახება საქმისმწარმოებელთან. ყველა შემოსული დოკუმენტი იტვირთება eflow-ს დოკუმენტბრუნვის სისტემაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - სკოლა იყენებს ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემას (E-school.emis.ge). სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow). როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის სკოლა იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა office 365. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება, მონაცემები მასწავლებელთა დატვირთვის შესახებ, საათობრივი ბაღე, კლასის სიები, დამრიგებლები, საგნების განაწილება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა ვადების და პროცედურების დაცვით წარადგენს ანგარიშებს შესაბამის სტრუქტურებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

2. საქმისწარმოების წესი (2023 წლის 31 მაისის N2-22 ბრძანება)

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. სკოლის ვებ გვერდია: [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები](#); სკოლას აქვს ბლოგი: <https://chorvilaschool.blogspot.com/>. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფეისბუქ გვერდზე ინფორმაციის სისწორესა და განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება; ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების მიმდინარეობას და განხორციელებას არის

უტყუარი. ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს მტკიცებულებები ფოტო და ვიდეო მასალის სახით. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ყოველთვის შეთანხმებულია დირექციასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ გვერდი : [სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები](#);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლამ წარმოადგინა სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი; დირექტორის ფინანსური ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ, შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ, ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი 2025 წელი
2. დირექტორის ანგარიში (ფინანსური და სასწავლო პროცესის)
3. შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ
4. შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ
5. ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლებიც ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, სადაც მოცემულია მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი, დისციპლინური დევნა, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა მოზილობის წესი (24.02.2025 წლის N2-10

ბრძანება), მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (2024 წლის 2 ოქტომბრის N2-85 ბრძანება). სკოლას ჰყავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. დამტკიცებული აქვს რეფერალის წესი. სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის (24.02.2025 წლის N2-12 ბრძანება). სკოლა მკაცრად იცავს არსებულ რეგულაციებს. სკოლაში დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა პირადი საქმეები. მოსწავლეთა ჩარიცხვა, ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლას ჰყავს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ექიმი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. სკოლას ჰყავს სამი მანდატური. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლის ფოეში გამოკრულია საინფორმაციო დაფა. განთავსებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები, შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ.გვერდზე ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას. სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე, გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს და მათ მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ შეინაგანაწესს და სასკოლო რეგულაციებს.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

რჩევა: სასურველია 2025/2026 სასწავლო წლის დაწყებიდან სკოლამ გაასწოროს მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ტექნიკური ხარვეზები

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
2. მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ (24.02.2025 წლის N2-10 ბრძანება)
3. შინაგანაწესი
4. მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის დამტკიცების შესახებ (24.02.2025 წლის N2-12 ბრძანება)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლას 2025 წლის 8 მაისის N2-42 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №04/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. იჯარით გაცემულ დარბაზში ფუნქციონირებს ცეკვის წრე. სკოლაში ხორციელდება პროექტები, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ მუშობას. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაცია გაზიარებულია დამრიგებლის მიერ მშობელთა კრებებზე, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი (2025 წლის 8 მაისის N2-42 ბრძანება)
2. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები
3. მოსწავლის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
4. იჯარით გაცემული ფართის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. სკოლას 2024 წლის 2 ოქტომბერს N2-85 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ბრძანება მოიცავს პირველკლასელთა ადაპტაციას, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციას, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციას. აღნიშნული წესის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასკოლო მზაობას, კლასის დამრიგებლისა და მშობლის როლს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მოსწავლეებს, მათ მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. დამრიგებლები მოსწავლეებს, მათ მშობლებს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციას აწვდიან სატელეფონო და წერილობითი კომუნიკაციის შედეგად. მოსწავლეები აკადემიურ მიღწევებს განიხილავდეს პედაგოგთან ან დამრიგებლებთან. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის სემესტრული გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა. საშემოდგომო, სემესტრული და ექსტერნსი გამოცდის აუცილებლობის შემთხვევაში, მოსწავლეების კონსულტაციებს უწევენ პედაგოგები. სკოლის მოსწავლეებს აქვთ ოლიმპიადებში და კონკურსებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგები უწევენ კონსულტაციებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა უწევს ადმინისტრირებას ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. ექსტერნის გამოცდებზე დარეგისტრირებულ პირთათვის, სკოლა ადგენს გამოცდების ჩატარების განრიგს, ქმნის საგამოცდო კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისე ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი, არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მხარდაჭერას, რაც დასტურდება სკოლაში განხორციელებული პროექტებით. სკოლაში ხდება დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას 2025 წლის 4 თებერვალს სკოლის დირექტორის N2-12 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭრი მექანიზმი. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ტარდება პროექტები. სამოქალაქო კლუბის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ადამიანის უფლებები“. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა პროექტები: „კულინარიული დღეელი“, „ტვინების ბრძოლა“, „რა ? სად? როდის?“, მხიარული სტარტები, სპორტული შეჯიბრებები, მუსიკალური კონკურსები, ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (2024 წლის 2 ოქტომბერს N2-85 ბრძანება)
2. მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭრი მექანიზმი (2025 წლის 4 თებერვალს N2-12 ბრძანება)
4. მოსწავლეების ინიციატივით განხორციელებული პროექტები
5. მშობლების და მოსწავლეების გამოკითხვის მასალები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. ამ მიმართულებით სკოლაში არაერთი პროექტია განხორციელებული. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია აქტივობები, რომელიც პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის საკითხებს მოიცავს. სკოლაში ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. საშუალო საფეხურის მოსწავლეები იმყოფებოდნენ სასამართლოში. სკოლაში ეწყობა შეხვედრები

სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან. მოსწავლეები შეხვდნენ თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებს. იგეგმება კვლევის ჩატარება პროფორიენტაციასთან დაკავშირებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლაში პრაქტიკაში დანერგილია კურსდამთავრებულებთან შეხვედრები და მათი გამოხდობის გაზიარება. სკოლა გეგმავს კითხვარის საშუალებით ჩაატაროს კურსდამთავრებულების გამოკითხვა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიული ორიენტაციასთან დაკავშირებული პროექტები
2. სადამრიგებლო პროგრამები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; სკოლას აქვს დირექტორის 2025 წლის 8 მაისის N2-43 ბრძანებით დამტკიცებული სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. სკოლა ყოველი წლის დასაწყისში ამტკიცებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას (13.09.2024 წლის N2-73 ბრძანება). სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია,

რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფები, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში დასაქმებულია ორი სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით. სკოლაში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ინკლუზიური განათლების მონიტორინგი. მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი (13/09/2024 წლის ბრძანება N2-74). სკოლას შემუშავებულიაქვს სსსმ მოსწავლეების რესურს-ოთახში მეცადინეობის გრაფიკი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლაში დროულად ხდება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირება, რადგან მასწავლებლები სისტემატურ დაკვირვებას აწარმოებენ მოსწავლეებზე და აქტიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან და დირექციასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლის და განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ისგ ჯგუფები, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. ასევე იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1.ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა (13.09.2024 წლის N2-73 ბრძანება).
- 2.ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები/ოქმები
- 3.შიდა მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება (13.09.2024 წლის ბრძანება N2-74).
- 4.ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- 5.სსსმ მოსწავლეთა მუშაობის მექანიზმის დამტკიცების შესახებ ბრძანება (08.05.2025 წლის ბრძანება N2-43)

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ. სკოლაში ფუნქციონირებს კვების სერვისი. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბრძანება კვების ობიექტის მონიტორინგის თაობაზე. გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მომსახურების შინაარსი და ვალდებულებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კვების სერვისთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (მონიტორინგის მასალები)
2. დირექტორის ბრძანება კვების ობიექტის მონიტორინგთან დაკავშირებით (20.09.2024 წლის N2-76 ბრძანება)
3. იჯარის ხელშეკრულება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობა. მეთოდოლოგია მოიცავს მშობელთა ჩართულობასა და ინფორმირებას, ასევე კათედრის ფარგლებში ცოდნისა და პრაქტიკის გაზიარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, კურიკულუმი გადმოსცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლის კურიკულუმის შემუშავება და განვითარება სასკოლო საზოგადოების მიერ ხდება, კურიკულუმი მტკიცდება სასწავლო წლის დაწყებამდე თუმცა წლის მანძილზე მიმდინარეობს მისი განვითარება, ამ პროცესში კი მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია ფუნქციები, გაწერილია პასუხისმგებლობები, პროცესში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება და განვითარებით დაინტერესებულია სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლისთვის მნიშვნელოვანია უკუკავშირის მიღება, შესაბამისად კურიკულუმის გაზიარება ხდება როგორც ელექტრონული ფორმატით, ასევე ფიზიკურ გარემოში ინფორმირებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ბუნებისმეტყველების საგნობრივი ექსპერტის მხრიდან გაიცა რჩევა: სასურველია: დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში მიეთითოს სკოლის სასწავლო პრაქტიკაში შესაძლებელი და აპრობირებული რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/სადემონსტრაციო ცდების რესურსები (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის დასახელება). მაგალითად, II კლასში, თემის „ჰაერი როგორც გარემო“ ფარგლებში, საკითხის „ჩვენ გარშემო ჰაერია“ ფარგლებში დაემატოს ცდები, მაგალითად, ცდა „მე ვგრძნობ ჰაერს“ და მიეთითოს შესაბამისი რესურსი - მარაო; ცდა „რისი სუნი აქვს ჰაერს?“, რესურსით - ლიმონი, ფორთოხალი, სუნამო; და სხვ. ასევე, სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ბუნების მე-2 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში მოცემული ჩანაწერი ძირითად რესურსზე შემდეგი სახით: „სახელმძღვანელო: სულაკაურის გამომცემლობა ავტორები: მაია ბლიაძე; რუსუდან

ახვლედიანი; შორენა ტყემალაძე; თეონა შუბლაძე“ (კურიკულუმის სტილი დაცულია); სასურველია, სახელმძღვანელოს დასახელებისას აკადემიური სტილი იყოს დაცული.

ექსპერტის რჩევით, უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს თემები და სამიზნე ცნებები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად; არ ჰქონდეს ადგილი რედუცირებას. მაგალითისათვის, სტანდარტში ხაზგასმულია „ჰაერი როგორც გარემო“, შესაბამისად, მე-2 კლასის კურიკულუმში არ უნდა მოხდეს თემის რედუცირებული სახით დაფიქსირება - „ჰაერი“, „წყალი“; სტანდარტის მიხედვით, (I-IV კლასებისთვის) სამიზნე ცნებებია: (1) სხეული, (2) მოვლენა, (3) სივრცეში ორიენტირება, (4) ორგანიზმი, საარსებო გარემო (და არა „ორგანიზმი“ - კურიკულუმის მიხედვით), (5) გარემოს დაცვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს - ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. კურიკულუმში დატვირთულია საგანმანათლებლო რესურსებით, პედაგოგები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს სასწავლო პროცესში, სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მათ აძლევთ საშუალებას გამოყენონ მრავალფეროვანი რესურსები და თვალსაჩინოებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლის მიერ შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ბუნებისმეტყველების საგნობრივი ექსპერტის მიერ გაიცა **რჩევა**: სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ბუნების მე-2 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში მოცემულია ჩანაწერი ძირითად რესურსზე შემდეგი სახით: „სახელმძღვანელო: სულაკაურის გამომცემლობა ავტორები: მაია ბლიაძე; რუსუდან ახვლედიანი; შორენა ტყემალაძე; თეონა შუბლაძე“. ბუნების მე-3 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში ჩანაწერია: „საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი : სახელმძღვანელო-მაია ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი(გამომცემლობა ბაკურ სულაკაური)“ (კურიკულუმის სტილი დაცულია), სასურველია,

სახელმძღვანელოს დასახელებისას აკადემიური სტილი იყოს დაცული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს 9 სსსმ მოსწავლე, აქტიურად მუშაობენ სპეც მასწავლებლები, რესურს ოთახი აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით, რათა სკოლის ყველა მოსწავლეს ჰქონდეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. სსსმ მოსწავლეების პორტფოლიოების გაცნობის შემდეგ, დადგინდა, რომ პედაგოგები შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, თანამშრომლობენ სპეც მასწავლებლებთან, რათა სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური, საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. პედაგოგებთან საგნობრივი ექსპერტების გასაუბრებებიდან დგინდება, რომ დიფერენცირებული მიდგომები აქტიურად გამოიყენება ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების შემთხვევაშიც. სკოლას აქვს დიდი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის, რაც დადებითად აისახება სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
3. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
5. სპეც მასწავლებლების წლიური ანგარიშები
6. სსსმ მოსწავლეების პორტფოლიო (ინდ გეგმები, ისგ სხდომის ოქმები, მოსწავლეთა ნამუშევრები)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საგნობრივი ექსპერტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პედაგოგები აქტიურად მუშაობენ, როგორც კურიკულუმის შემუშავების, ასევე მისი განხორციელების ეტაპზე, იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს საგაკვეთილო პროცესში, აქტიურად მუშაობენ მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების წარმოჩენასა და გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სკოლის მიერ შემუშავებული swot ანალიზი მოწმობს, რომ გაცნობიერებული აქვთ ძლიერი და სუსტი მხარეები და დანახული აქვთ როგორც შესაძლებლობები, ასევე შესაძლო საფრთხეები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლას დირექტორის 28.02.2025 წლის ბრძანება N2-18 დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლაში მოქმედი ვერიფიკაციის ჯგუფი მონიტორინგს უწევს და უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლას დირექტორის 28.02.2025 წლის ბრძანება N2-18 დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. მექანიზმის განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციასა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
5. სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები აღრიცხულია სათანადოდ და უზრუნველყოფს მის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
3. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ნამუშევრები
4. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N2-18, 2025 წლის 28 თებერვალი)

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლა სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებს სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მრავალფეროვანი რესურსებით, მოსწავლეების ნამუშევრებიდან ჩანს, რომ თავად მოსწავლეები აქტიურად ქმნიან როგორც შემოქმედებით, ისე შემეცნებით პროდუქტებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის მიერ გაიცა **რჩევა**: სასურველია, ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმით (კლასების მიხედვით) წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოპის გაკვეთილები, ანიმაციები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები, თუნდაც ყოფაცხოვრებაში გამოყენებული მასალები. მაგალითად, ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმში, სავალდებულო თემის „ნარეგები და მათი დაყოფის გზები“ შესაძლებელია სასწავლო რეალური ექსპერიმენტის „ნარეგების დაყოფის ხერხები“ დაგეგმვა, შესაბამისად, სასწავლო რესურსის სახით ექსპერიმენტისთვის მოსწავლეებისთვის ყოფაცხოვრებიდან კარგად ნაცნობი ნივთიერებებისა და მასალების დაფიქსირება - სუფრის მარილი, შაქარი, ზეთი, ცარცი, მინა, წყალი და სხვ., იგივე ეხება ჭურჭელსა და მოწყობილობებს (ჩაიდან, ჭიქა, ქილა, კოვზი გამათბობელი); კურიკულუმში აღნიშნული რესურსების დაფიქსირება ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები აქტიურად იყენებენ დამხმარე რესურსებს და საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით უზრუნველყოფენ ამ რესურსების ვალიდაციას, შესაბამისობას კურიკულუმთან, რესურსები თანხვედრაშია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ საკითხებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სკოლაში არის მოსწავლეთა



რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური ბაზა, უზრუნველყოფილია პროექტორებით, იმდენად, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ ტექნიკურ რესურსებს საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნებისა და თვალსაჩინოებისთვის. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე ბიბლიოთეკა აძლევთ საშუალებას საგაკვეთილო პროცესში გამოიყენონ აღნიშნული ტექნიკური რესურსები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. დაწყებით საფეხურზე ყველა მასწავლებელი არის შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციისა და სტატუსის მქონე. სკოლას არ ჰყავს სტატუსის არმქონე პედაგოგი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
3. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ნამუშევრები
4. მატერიალური რესურსები
5. მასწავლებელთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები, პირადი საქმეები
6. Emis-ამონაწერი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად. პედაგოგები კათედრის სხდომების ფარგლებში უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს და შესაბამისად იგეგმება მომდევნო სასწავლო წელს შესატანი ცვლილებები. მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს იმ ძირითად საკითხებს, რასაც მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მოიცავს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. მეთოდოლოგია იძლევა პრობლემის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების გზებს. პედაგოგების თანამშრომლობისა და ურთიერთგაზიარების, დიაგნოსტიკის გზებით ხორციელდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმართულია სასკოლო საზოგადოების, მისი შემადგენელი წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის სხდომების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. პედაგოგების მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრები ცხადყოფს, რომ შეფასების პროცესში არაერთი წყაროა გამოყენებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში შეფასება მიემართება მოსწავლის ინდ გეგმის მიხედვით გაწერილ საკითხებს, შესაბამისად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები მონაცემთა შეგროვების მხრივ, კერძოდ, შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით პედაგოგები ითვალისწინებენ არაერთი ტიპის მონაცემებს შეფასებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია ინდივიდუალური შესაძლებლობები და სხვადასხვა გარემოებები შეფასების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები
2. მოსწავლეთა ნამუშევრები

3. ინდ გეგმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი არ მოიცავს გადასინჯვისა და რევიზიის ნაწილს. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა: მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის ნაწილი, სადაც დაკონკრეტებული იქნება როგორ იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის ელემენტები.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ კათედრის მუშაობაში კურიკულუმის გადასინჯვას უკავია მნიშვნელოვანი ნაწილი, ინფორმაცია ზიარდება და იგეგმება მომდევნო სასწავლო წელს შესატანი ცვლილებები. სასურველია, გაიწეროს ეს პროცესი მეთოდოლოგიის დოკუმენტში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.



- წინარე გამოცდილება და მონიტორინგი, გადამუშავებული კურიკულუმის საფუძველია, სკოლა აქტიურად მუშაობს კურიკულუმის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ნათლად ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობა. მეთოდოლოგია მოიცავს მშობელთა ჩართულობასა და ინფორმირებას, ასევე კათედრის ფარგლებში ცოდნისა და პრაქტიკის გაზიარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, კურიკულუმი გადმოსცემს სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლის კურიკულუმის შემუშავება და განვითარება სასკოლო საზოგადოების მიერ ხდება, კურიკულუმი მტკიცდება სასწავლო წლის დაწყებამდე თუმცა წლის მანძილზე მიმდინარეობს მისი განვითარება, ამ პროცესში კი მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია ფუნქციები, გაწერილია პასუხისმგებლობები, პროცესში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება და განვითარებით დაინტერესებულია სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. სკოლისთვის მნიშვნელოვანია უკუკავშირის მიღება, შესაბამისად კურიკულუმის გაზიარება ხდება როგორც ელექტრონული ფორმატით, ასევე ფიზიკურ გარემოში ინფორმირებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი წარმოაჩენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის მხრიდან გაიცა **რჩევა**: სასურველია: სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით). ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ქიმიის მე-8 კლასის ჩარჩო- კურიკულუმში ძირითად რესურსთან დაკავშირებით ფიქსირდება შემდეგი სახის ჩანაწერი: „საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები: ძირითადი- თინათინ ბუთხუზი; სოფიკო ფაცაცია; მარინე კუჭუხიძე; თამარ ხატისაშვილი. გამომცემლობა: „საქართველოს მაცნე“ (კურიკულუმის სტილი დაცულია), ამასთან სასურველია, რომ სახელმძღვანელოს დასახელება მოცემული იყოს აკადემიური სტილით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს - ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.კურიკულუმი დატვირთულია საგანმანათლებლო რესურსებით, პედაგოგები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს სასწავლო პროცესში, სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მათ აძლევთ საშუალებას გამოეყენონ მრავალფეროვანი რესურსები და თვალსაჩინოებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლის მიერ შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.სკოლას ჰყავს 9 სსსმ მოსწავლე, აქტიურად მუშაობენ სპეც მასწავლებლები, რესურს ოთახი აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით, რათა სკოლის ყველა მოსწავლეს ჰქონდეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. სსსმ მოსწავლეების პორტფოლიოების გაცნობის შემდეგ, დადგინდა, რომ პედაგოგები შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, თანამშრომლობენ სპეც მასწავლებლებთან, რათა სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური, საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. პედაგოგებთან საგნობრივი ექსპერტების გასაუბრებებიდან დგინდება, რომ დიფერენცირებული მიდგომები აქტიურად გამოიყენება ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების შემთხვევაშიც. სკოლას აქვს დიდი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის, რაც დადებითად აისახება სკოლაში დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებაზე. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი ექსპერტის მიერ გაიცა **რჩევა**: სასურველია მოსწავლეს სკოლამ შესთავაზოს კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანი დავალება თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ იყოს მორგებული მის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცეთ საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატი ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
3. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
5. სპეც მასწავლებლების წლიური ანგარიშები
6. სსსმ მოსწავლეების პორტფოლიო (ინდ გეგმები, ისგ სხდომის ოქმები, მოსწავლეთა ნამუშევრები)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საგნობრივი ექსპერტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პედაგოგები აქტიურად მუშაობენ, როგორც კურიკულუმის შემუშავების, ასევე მისი განხორციელების ეტაპზე, იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს საგაკვეთილო პროცესში, აქტიურად მუშაობენ მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების წარმოჩენასა და გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სკოლის მიერ შემუშავებული swot ანალიზი მოწმობს, რომ გაცნობიერებული აქვთ ძლიერი და სუსტი მხარეები და დანახული აქვთ როგორც შესაძლებლობები, ასევე შესაძლო საფრთხეები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას დირექტორის 28.02.2025 წლის ბრძანება N2-18 დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლაში მოქმედი ვერიფიკაციის ჯგუფი მონიტორინგს უწევს და უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მიერ გაიცა **რჩევა**: სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას დირექტორის 28.02.2025 წლის ბრძანება N2-18 დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. მექანიზმის განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციასა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლაში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია/მტკიცებულებები აღრიცხულია სათანადოდ და უზრუნველყოფს მის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
3. საბაზო კლასების მოსწავლეთა ნამუშევრები
